TAV Airports a member of Groupe ADP

თარიღი : 20 / 06 / 2023
ნომერი : TAV.GM.8299

შპს „GLOBAL DEFENSE GROUP"-ის
მინდობილ პირს
ბატონ ნიკოლოზ სულხანიშვილს
ტელეფონი: 595 74 12 15

ასლი: სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორს
ბატონ გივი დავითაშვილს

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2023 წლის 15 ივნისის განცხადების, მასზე თანდართული და დამატებით წარმოდგენილი მასალის განხილვის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, სოფელი დიდი ლილო, ერეკლე მეორის ქუჩა №87ზ-ში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 81.08.21.924) მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონში და მასზე მიწის ზედაპირიდან +7.65 მეტრი (საშუალო ზღვის დონიდან +689.65 მეტრი) სიმაღლის მეფრინველეობის ფერმის შენობის აშენება დასაშვებია. მშენებლობის პერიოდში აგრეთვე დასაშვებია მიწის ზედაპირიდან +12.0 მეტრი (საშუალო ზღვის დონიდან +694.0 მეტრი) სიმაღლის ავტოამწეს გამოყენება.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფრენების ორნითოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია, რომ მეფრინველეობის ფერმის შენობა იყოს დახურული ტიპის და საწარმოო პროცესის შედეგად არ მოხდეს მიმდებარე ტერიტორიის სხვადასხვა ნარჩენებით დაბინძურება.

პატივისცემით,

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერი

ონურ შათირი
გენერალური მენეჯერის მოადგილე

LM

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის თექვსმეტ ივნისს, მე, ნოტარიუსს ქეთევან მამუკაშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №25, მომმართა იაკობ ბერიძემ, მან განაცხადა, რომ არის **შპს GLOBAL DEFENSE GROUP-ის** დირექტორი. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად იაკობ ბერიძემ (დაბ. 14.03.1970წ. პირადი №01011005022 მისამართი: **თბილისი მთაწმინდის შეს. N 7ა ბ. 8**) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაჩენია. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი არის **შპს GLOBAL DEFENSE GROUP-ის** საიდენტიფიკაციო **№404435250** დირექტორი, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23035917, 15/03/2023 13:19:17. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

მან წაიკითხა სანოტარო აქტი, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის თექვსმეტ ივნისს, მე **შპს GLOBAL DEFENSE GROUP-ის** საიდენტიფიკაციო **№404435250** დირექტორი იაკობ ბერიძე ამ მინდობილობით სრულ უფლებას ვაძლევ ნიკოლოზ სულხანიშვილს (დაბ. 12.06.1986წ. პირადი №01009018463 მისამართი: **თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის VI კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 37**) უძრავ ქონებაზე **მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ერეკლე მეორის ქუჩა, №87ზ საკადასტრო კოდი : 81.08.21.924** სამშენებლო საპროექტო საქმის წარმოებასთან დაკავშირებით იყოს წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საკრებულოში, გამგეობაში, საკუთრების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში და ზედამხედველობის სამსახურში, საჯარო რეესტრში, ნებისმიერი დაწესებულების არქივში, მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები, ნებართვები, მათ შორის სამშენებლო ნებართვები, შეათანხმოს პროექტები, დააზუსტოს ფართობი, შეიტანოს ცვლილებები, კორექტირებები პროექტში, წარადგინოს აზომვითი ნახაზები, **მოითხოვოს მიწის ნაკვეთის ზონალური ცვლილება, უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარება,** ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტები, მიიღოს ექსპლუატაციაში აღნიშნული უძრავი ქონება შპს-ს სახელზე. აწარმოოს შესაბამისი საქმე, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის პროცედურა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული მოქმედებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 6 (ექვსი) თვის ვადით.

მინდობილობას ვადასტურებ მე, ნოტარიუსი ქ.მამუკაშვილი სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30 ლარი, აგრეთვე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ 5 ლარი და 40 თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. სულ გადახდილია 40 ლარი და 40 თეთრი.

ნოტარიუსი გიორგი მამუკაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
22317425903923

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230789949

რეგისტრაციის თარიღი

16.06.2023 წ

ნოტარიუსი: ქეთევან მამუკაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი #25
ტელეფონი: 2771300; 2779499

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეტანის, შეცვლის ფაქტის გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 98 19 18